მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ
გავრცელებული თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგია
2015-2020 დოკუმენტის თაობაზე

13 აგვისტო, 2015 წ.

I. ზოგადი ხასიათის შენიშვნები:

წარმოდგენილი დოკუმენტი ზოგადი ხასიათისაა. მართალია, ქალაქში არსებული პრობლემების აღწერა შეესაბამება არსებულ სიტუაციას, მათი გადაჭრის გზები და მიდგომები არ არის ჩამოყალიბებული. ეს დოკუმენტის მთავარ ნაკლოვანებას წარმოადგენს, ვინაიდან, სწორედ ამ გზებით უნდა მიაღწიოს ქალაქმა დასახულ მიზნებს. ამასთან, ბუნდოვანია დროში გაწერილად მოსალოდნელი შედეგები და სტრატეგიის განხორციელების კავშირი ქალაქის ბიუჯეტის ფორმირებასთან, არ მოიცავს ანგარიშგებისა და შეფასების ინდიკატორებს, რაც საბოლოო ჯამში გაართულებს როგორც დოკუმენტის შესრულებას, ასევე მის მონიტორინგს და განხორციელების შეფასებას.

აღსანიშნავია, რომ

- სტრატეგიის რამოდენიმე ქვეთავში საერთოდ არ არის ჩამოყალიბებული კონკრეტული მიზანი.

- ამასთან, ქვემიზნები ზოგადია და არ არის განსაზღვრული რას მიაღწევს ქალაქ თბილისი თვითოეული ქვეთავის შესრულებისას დროში გაწერილად. ამისთვის, თითოეული ქვემიზანი უნდა მოიცავდეს კონკრეტულ მაჩვენებლებს, რისი მიღწევაც გვსურს. (მაგალითად, ხუთი წლის განმავლობაში ეტაპობრივად რამდენი პროცენტით შემცირდება ჰაერის, წყლის, ხმაურის დაბინძურება და ა. შ).

- სტრატეგიაში მოცემული ყველა ამოცანის გადაჭრა და დასახული მიზნის შესრულება მოითხოვს ხუთ წელიწადზე მეტ დროს. იმის გავითვალისწინებთ, რომ ქალაქის ბიუჯეტი შეზღუდულია, სტრატეგიაში აუცილებლად უნდა განისაზღვროს პრიორიტეტები და გაიწეროს მათი შესრულების ვადები.

- ხშირ შემთხვევაში, მოცემული სტრატეგია გულისხმობს სხვადასხვა დოკუმენტებისა თუ გეგმების შემუშავებას, თუმცა არ არის გაწერილი თარიღები/პერიოდები, რა დროის განმავლობაში იქნება სავალდებულო მათი შემუშავება.

- აღნიშნული სტრატეგიის შემდგომ ეტაპზე საჭიროა ქ. თბილისის ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის შემუშავება, გამომდინარე აქედან, დოკუმენტში განსაზღვრული უნდა იყოს სამოქმედო გეგმის შემუშავების პერიოდი.

- პრობლემათა გადაჭრისას მნიშვნელოვანია გაირკვეს თუ როგორ შეიძლება მათი გადაჭრა - რეგულირებელის თუ აღმასრულებლის ფუნქციების განხორციელებით. ამასთან, დოკუმენტი არ განსაზღვრავს მესამე მხარის უფლება-მოვალეობებს (მაგალითად, ქ. თბილისში საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია არის ქ. თბილისის წყალკანალის მოვალეობა და ის უნდა გააკონტროლოს თბილისის მერიამ, თუმცა სტრატეგიაში ვკითხულობთ რომ ეს არის მერიის განსახორციელებელი ამოცანა).

- სტრატეგიაში უნდა აისახოს დაინტერესებული საზოგადოების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის პროცედურა, რაც დაეფუძნება შესაბამის სამართლებრივ აქტებს, რომელიც ქალაქის დაგეგმარებისას და/ან მშენებლობის ნებართვის გაცემისას უზრუნველყოფს დაინტერესებული საზოგადოების ჩართულობას.

- მნიშვნელოვანია რომ უზრუნველყოფილ იქნას ქალაქში მიმდინარე პროცესებზე და გარემოს მდგომარეობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მექანიზმი, რომელიც დაეფუძნება პროაქტიულ გამოქვეყნებას (მაგ. იქნება ეს საკრებულოს სხდომებზე განსახილველი საკითხებისა თუ დოკუმენტების სია, ასევე გარემოს მდგომარეობის მაგ. ჰაერის დაბინძურების ყოველდღიურ რეჟიმში მოწოდება და ა.შ.)

- აუცილებელია სტრატეგიაში განისაზღვროს ანგარიშგების მექანიზმი და მისი პერიოდულობა.

- დოკუმენტში არ არის მოცემული თუ როგორ და რა პერიოდულობით მოხდება სტრატეგიის შესრულების შეფასება. მნიშვნელოვანია შეფასების ინდიკატორების სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უნდა მოიცავდეს ობიექტურ და სუბიექტურ (მაგალითად, რა ფართობს იკავებს მწვანე ნარგავები ქ.თბილისში და რამდენი ადამიანია კმაყოფილი არსებული მწვანე ინფრასტრუქტურით თბილისში) მაჩვენებელს.

II. კონკრეტული შენიშვნები ქვეთავების მიხედვით:

1. დოკუმენტის 3.1.1 ქვეთავში, ატმოსფერული ჰაერი ძირითად პრობლემებში, ერთ-ერთ ძირითად პრობლემად სასურველია დაემატოს „საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების დაბალი დონე“.

   ამავე ქვეთავში, მთავარ მიზნად მოცემულია შემდეგი - *„ქ. თბილისის მოსახლეობისათვის ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს უზრუნველსაყოფად ჰაერის დაბინძურების დონის მაქსიმალურად შემცირება და ევროპულ სტანდარტებს დაქვემდებარება“* - კარგი იქნება თუ განისაზღვრება გარკვეული რიცხვი, კონკრეტულად რამდენით შეიძლება შემცირდეს ჰაერის დაბინძურების დონე ქალაქში.

2. 3.1.2 ქვეთავში, ხმაური ამოცანებში მოცემულია შემდეგი წინადადება *„ხმაურის შემარბილებელი ნორმების აღსრულებისა და კონტროლის მექანიზმების არასრულყოფილება“* - ზემოთაღნიშნული გადატანილ უნდა იქნას ძირითად პრობლემებში, რადგანაც ის ხმაურთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს და არა ამოცანას.

   ამავე ქვეთავში ერთ-ერთ ამოცანად მოცემულია ხმაურის შემცირების გეგმის შემუშავება ქ. თბილისისთვის, თუმცა არ არის მოცემული კონკრეტული თარიღები, თუ რა პერიოდია განსაზღვრული გეგმის შესამუშავებლად. ზუსტად უნდა გაიწეროს რა პერიოდი იქნება განსაზღვრული ამ დოკუმენტის შემუშავებისათვის.

აქვე, ამოცანებად დასახულია შემდეგი: *„ახალი, შედარებით ხმაურგამძლე შენობების აშენება და ძველი შენობების დაცვა ხმაურის დაბინძურებისგან“; „ტრანსპორტის ნაკადის შემცირებისკენ მიმართული ღონისძიებების გატარება, განსაკუთრებით ქალაქის ცენტრალურ უბნებში“ „სამრეწველო ობიექტებზე ხმაურის დონის შემცირებისკენ მიმართული ღონისძიებების გატარება“*- ზემოთხსენებულთან მიმართებაში, კონკრეტულად უნდა გაიწეროს:

- რა სახის ღონისძიებები თუ ქმედებები იქნება გადადგმული ძველი შენობების ხმაურის დაბინძურებისაგან დასაცავად?
- ნათლად უნდა იქნას წარმოდგენილი, კონკრეტულად რა ღონისძიებების გატარება იგეგმება ტრანსპორტის ნაკადების შემცირებისა თუ სამრეწველო ობიექტებზე ხმაურის დონის შემცირებისათვის? როგორ მოხდება ამ ამოცანების შესრულება და მონიტორინგი?

3. <u>3.2.1 ქვეთავში, ზედაპირული მტკნარი წყლები</u> მდინარე მტკვარის პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ საშუალებად მოცემულია, რომ შემუშავებულ იქნება სპეციალური პროგრამა რომელიც უზრუნველყოფს მდინარე მტკვრის დაცვას. - აქვე უნდა დაზუსტდეს რა სახის პროგრამაზეა საუბარი? რა პერიოდში მოხდება მისი შემუშავება, მიღება?

   ამავე ქვეთავში საუბარია მტკვრის წყლის ინტეგრირებული მართვის გეგმის შემუშავებაზე - გეგმის შემუშავების პერიოდი აქაც არ არის გაწერილი.

   ერთ-ერთ მიზნად კი მოცემულია შემდეგი „მოსახლეობისათვის სუფთა სასმელი წყლის მიწოდების უზრულველყოფა“- გაუგებარია რატომ არის აღნიშნული ჩანაწერი წარმოდგენილი სტრატეგიაში, მაშინ როცა, ზემოთხსენებული წარმოადგენს მესამე მხარის (თბილისის წყალკანალის, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ის) უფლება-მოვალეობას. ამასთან, მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს ღონისძიებები რომლებიც ხელს შეუწყობს „წყლის მდგრადი მოხმარების ხელშეწყობას“.

4. <u>წყალმომარაგების, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების ქვეთავის</u> ამოცანებში მოცემულია:

   I. უნდა მოხდეს *„წყალმომარაგების, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემებისთვის სპეციალური გეგმის შემუშავება - რომელიც უნდა გახდეს ქალაქის სივრცითი დაგეგმარების ნაწილი და რომელიც ასახავს კონკრეტულ ვალდებულებებს, პასუხისმგებლობებს და სრულფასოვანი მონიტორინგის სისტემას და შესრულების მექანიზმებს“* - გამომდინარე აქედან აუცილებელია განისაზღვოს გეგმის შემუშავების პერიოდი.

   II. ამასთან, ერთ ერთ ამოცანად დასახულია ქალაქის ტერიტორიაზე წყალმომარაგების სისტემაში წყლის დანაკარგის შემცირება - თუმცა არ არის მოცემული როგორ მოხდება ამ ამოცანის მიღწევა. უნდა დაზუსტდეს რა კონკრეტული ქმედებების გატარებაა საჭირო ხელისუფლების მხრიდან შედეგის მისაღებად.

5. <u>ბიომრავალფეროვნების ქვეთავში“,</u> საერთოდ არ არის წარმოდგენილი მიზნები. მოცემული ქვეთავიც გულისხმობს რამოდენიმე სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში გეგმების შემუშავებას, მაგალითად: „გამწვანების პრიორიტეტების, პროგრამებისა და გეგმების შემუშავება-განხორციელებას“; თბილისის შემოგარენის მწვანე ნარგავების სარეკრეაციო გეგმის შედგენას“; თბილისის ზოოპარკის განვითარების გეგმის შემუშავებას“ და ა.შ - თუმცა აქაც არ არის განსაზღვრული გეგმის შემუშავების პერიოდები.

ბიომრავალფეროვნების ქვეთავში, მცენარეთა დაცვის მიზნად მოცემულია *„ჯანმრთელი მწვანე საფარის უზრუნველყოფა ქ. თბილისის ტერიტორიაზე“* - აქედან გამომდინარე, განიმარტოს „ჯანმრთელი მწვანე საფარი“.

ამავე ქვეთავში, ერთ-ერთი ამოცანა გულისხმობს მცენარეთა დაცვის სტრატეგიის შემუშავებას, თუმცა არც აქ არ არის სტრატეგიის შემუშავების პერიოდი განსაზღვრული.

6. <u>ურბანული დაგეგმარება და დიზაინის ქვეთავში</u> მოცემულ ამოცანებში საუბარია „მწვანე შენობების“ სტანდარტების დანერგვაზე, თუმცა სტრატეგიაში არ არის განსაზღვრული რას გულისხმობს ეს სტანდარტი.

   ამავე ქვეთავში ერთ-ერთ ამოცანად დასახულია ტროტუარების გათავისუფლება მანქანებისაგან, ველობილიკების შექმნა და ღონისძიებების გატარება ველოსიპედით მოძრაობის გამარტივებისთვის - სასურველია დაზუსტდეს რა ღონისძიებები იგულისხმევა ზემოთაღნიშნულში, როგორ/რა გზით იქნება მიღწეული ზემოთხსენებული ამოცანის შესრულება.

7. საერთოდ არ არის წარმოდგენილი მიზნები სტრატეგიის მე-4 (გარემოსდაცვითი მმართველობა) და მე-5 (განათლება, ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების ჩართულობა) თავებში. ამიტომ აღნიშნული საჭიროებს გადახედვას და შევსებას.

8. თბილისის ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის ქვეთავი გულისხმობს ქ. თბილისის ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის შემუშავებას (4.4.1 ქვეთავი, ამოცანები), თუმცა გეგმის შემუშავების პერიოდები აქაც არ არის განსაზღვრული.

9. გაუგებარია რატომ არის წარმოდგენილი მწვანე ეკონომიკის თავში პრიორიტეტულად განსახორციელებელ ღონისძიებებში შემდეგი ქმედება *„სათბობი შეშის რესურსების და ენერგოეფექტურობის შესწავლა და დაგეგმვა“*?

ქ. თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგიის დოკუმენტი საჭიროებს გადამუშავებას ზემოთ აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით. მიგვაჩნია, რომ ამ სახით სტრატეგიის დოკუმენტის დამტკიცება არ მოგვცემს არანაირ ეფექტს.